

თავშესაფრის მაძიებელთა ბოლოდროინდელი გადინება
საქართველოდან პოლონეთში

ჯენი ტომსენი

უმცირესობათა საკითხების
ევროპული ცენტრის
მოსხენება № 22
დეკემბერი 2009

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის შტატ შლეზვიგ-გოლშტეინის მთავრობების მიერ. ცენტრი ჩამოყალიბდა ფლენსბურგში დანია-გერმანიის სასაზღვრო ზონის შუაგულში, რათა მიეღო შთამავლებელი მაგალითი უმცირესობებსა და უმრავლესობებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, რომელიც იქ იყო მიღწეული. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს უმცირესობებთან და უმრავლესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე დისციპლინათაშორისი კვლევების ჩატარებას ევროპულ ჭრილში და ასევე წვლილი შეიტანოს სხვადასხვა ეროვნებას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის იმ ნაწილებში, სადაც ჭარბობს ეთნოპოლიტიკური დაძაბულობა და კონფლიქტები.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მოხსენებები იწერება ცენტრის თანამშრომლების ან ცენტრის მიერ დაქირავებული გარეშე ავტორების მიერ. ვინაიდან უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი არ ავრცელებს საკუთარ შეხედულებებს, მის ნებისმიერ პუბლიკაციაში გამოხატული აზრები წარმოადგენს მხოლოდ შესაბამისი ავტორის პასუხისმგებლობას.

**უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის
მოხსენება №22**
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)
დირექტორი: დოქტ. ტოვე მალოუ
© ECMI 2009

**უმცირესობათა საკითხების
ევროპული ცენტრი (ECMI)**

შიფბრუეკეს ქ. 12 (Kompagnietor) D-24939 ფლენსბურგი
ტელ: +49-(0)461-14 14 9-0 ფაქსი +49-(0)461-14 14 9-19
ელ.ფოსტა: info@ecmi.de ვებ-გვერდი: <http://www.ecmi.de>

შესავალი

უკანასკნელი თვეების მანძილზე პოლონეთი გახდა საქართველოს მოქალაქეთა განსაკუთრებულად დიდი რიცხვის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის მოწმე. 2009 წლის აპრილიდან ნოემბრამდე საქართველოს თითქმის 4,000-მა მოქალაქემ გადაკვეთა პოლონეთის საზღვარი თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით.¹ ეს ციფრი გასაოცარია წინა წლებთან შედარებით, როდესაც მხოლოდ 400 განაცხადი იყო მიღებული მთელს პერიოდში 2000 წლიდან 2008 წლამდე.² ამასთანავე, ბოლო პერიოდში ადგილი ჰქონდა საქართველოდან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის გაზრდას, მათ შორის 2,000 განაცხადი იყო შეტანილი გერმანიაში, ხოლო 2,000 ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საბერძნეთში, შვეიცარიაში, იტალიასა და ავსტრიაში ერთად აღებული. ამ ადამიანთა გარკვეული ნაწილი თავდაპირველად ჩავიდა პოლონეთში, ხოლო მოგვიანებით გაუჩინარდა თავშესაფრის ბანაკებიდან, როდესაც მათი განაცხადები თავშესაფარზე ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთლიანი მოსახლეობა დაახლოებით ოთხნახევარ მილიონ ადამიანს შეადგენს, ეს ციფრი ძალზედ მაღალია. პოლონეთში ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ ამჟამად გადააჭარბა კიდევ ჩეჩნეთიდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობას.

აპრილსა და ნოემბერს შორის თავშესაფარზე განაცხადის შემტანი დაახლოებით 4,000 საქართველოს მოქალაქიდან თითქმის 60% იყო 18-დან 34 წლამდე ასაკის პირი. 13 წლამდე ბავშვები შეადგენდნენ თავშესაფრის მაძიებელთა დაახლოებით მეხუთედს და თითქმის იმავე რაოდენობას შეადგენდნენ 35-დან 64 წლამდე ადამიანები. მამრობითი სქესი წარმოადგენდა თითქმის ორ მესამედს; განსაკუთრებით მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი (40%) 18-დან 34 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცები. საქართველოს მოქალაქეთა ნაკადმა პოლონეთში პიკს ივლისსა და აგვისტოში მიაღწია, როდესაც საქართველოდან თავშესაფრის მოთხოვნელთა რიცხვმა შეადგინა

¹ იხ. დანართი.

² UNHCR-ის ყოველწლიური სტატისტიკური ცნობარები, იხ.: www.unhcr.org/pages/4a02afce6.html

1,038 და 1,371 შესაბამისად.³ სექტემბერში მათი რაოდენობა შემცირდა 317-მდე, ოქტომბერში 205-მდე, ხოლო ნოემბერში 143-მდე. არსებული მონაცემებით, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობა (თითქმის 90%) არის იეზიდ-ქურთი, რომლებიც ზოგადად ნაკლებად განათლებულები და ზოგჯერ გაუნათლებლებიც არიან. არსებული მონაცემებით, დანარჩენს შეადგენენ ეთნიკური ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია თავშესაფრის მაძიებელთა ბოლოდროინდელი ნაკადის შესახებ ისტორიული ცნობების გარკვეულწილად სიღრმისეული გაცნობა. ამ კვლევის ფარგლებში გამოკითხვა ჩატარდა რამდენიმე პირს საქართველოში მცხოვრები ძირითადად იეზიდ-ქურთი უმცირესობიდან. თბილისის იეზიდ-ქურთი მოსახლეობის რამდენიმე წარმომადგენელმა გაგვიზიარა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ქვეყანაში უმცირესობათა მდგომარეობის და ბოლოდროინდელი მიგრაციის შესახებ მოტივაციის შესახებ. დამატებითი ინტერვიუები გაიმართა იმ პირებთან, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში დეპორტირებულნი იყვნენ პოლონეთიდან უკან საქართველოში.⁴ ინტერვიუების შედეგად მოპოვებული იქნა ინფორმაცია იეზიდ-ქურთი მოსახლეობის პრობლემებთან დაკავშირებით, რამაც საშუალება მოგვცა, უფრო ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნა უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ და ასევე უფრო დეტალურად გავცნობოდით თავშესაფრის მაძიებელთა მარშრუტს ევროკავშირის ქვეყნებისკენ და მათი იქ ყოფნის პირობებს.

საქართველოში მცხოვრები იეზიდ-ქურთი მოსახლეობა

იეზიდ-ქურთები შეადგენენ საქართველოში მცხოვრები ქურთი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. სიტყვა „იეზიდი“ აღნიშნავს იეზიდურ რელიგიას, ხოლო „ქურთი“

³ იხ. დანართი.

⁴ მაღლობას ვუხდი ბობი აფხაზავას, შორენა კობაიძეს, დენოლა ჩხარტიშვილს და ეკატერინე დოლაბერიძეს საქართველოს ოფისიდან მათი მხარდაჭერისათვის ინტერვიუების ჩატარებასა და ინფორმაციის შეგროვებაში ამ ანგარიშისათვის, ასევე შორენა შერერს ამ ნაშრომის ტექნიკური რედაქტირებისა და კორექტირებისთვის.

ეთნიკური უმცირესობისადმი კუთვნილებას. ადამიანთა უმრავლესობისთვის სიტყვები „იეზიდი“ და „ქურთი“ განუყოფელია და დღეს საქართველოში საზოგადოდ გამოიყენება ტერმინი „იეზიდი-ქურთი“. იეზიდიზმი არის იეზიდი-ქურთი მოსახლეობის ფუნდამენტური ელემენტი, რომელზეც ძლიერ ზეგავლენას ახდენს და რომელშიც გაერთიანებულია ელემენტები სხვადასხვა რელიგიიდან, როგორც არის ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი და ზოროასტრიზმი (მაზდაიზმი). იეზიდიზმის დებულებათა სისტემა სიტყვიერად გადაეცემა და დამოკიდებულია ორგანიზებულ სოციალურ სისტემაზე. იეზიდურ საზოგადოებას არეგულირებს არაიერარქიული კასტური სისტემა, რომელიც იყოფა სამ კასტად და უამრავ ქვეკასტად, სადაც თითოეულ ქვეკასტას აქვს თავისი როლი საზოგადოებაში. აკრძალულია ქორწინება ეთნიკური ჯგუფის და ასევე ქვეკასტის გარეთ, ამიტომ შეუძლებელია, ადამიანი გახდეს იეზიდი-ქურთი, თუ ასეთად არ დაბადებულა. უფრო მეტიც, ტრადიციის მიხედვით პირი, რომელიც უარყოფს მრწამსს, აღარ ითვლება ეთნიკური საზოგადოების წევრად.

საქართველოში და სხვა ქვეყნებში მცხოვრები იეზიდი-ქურთები ტრადიციულად საუბრობენ *ქურმანჯის* ენაზე, რომელიც არის ქურთული ენის ჩრდილოური დიალექტი. მაგრამ ასიმილაციური პროცესების წყალობით, რაც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ქურთული ენის გამოყენებაზე, დღესდღეობით საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით 30% ლაპარაკობს ქურმანჯულად და მეტადრე ახალგაზრდა თაობაში ეს ენა აღარ გამოიყენება. ვინაიდან ახალგაზრდა იეზიდი-ქურთები დადიან რუსულ და ქართულ სკოლებში, კომუნიკაცია სახლშიც კი უმთავრესად ამ ენებზე ხდება. იეზიდი-ქურთები ძირითადად ცხოვრობენ თბილისში, მაგრამ ასევე სხვა დიდ ქალაქებსა და დასახლებებში. გარკვეული ნაწილი დასახლებულია გარდაბნისა და მცხეთის რაიონის სოფლებში.

მიგრაციის პროცესები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

აუცილებელია, მოკლედ განვიხილოთ იეზიდ-ქურთი უმცირესობის მიგრაციის საკითხი, რათა გავიგოთ ან ჯგუფის ამჟამინდელი მდგომარეობა საქართველოში.⁵ გასული ორმოცდაათი წლის მანძილზე იეზიდ-ქურთი მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათმა რიცხვმა 1989 წელს 33,000-ს მიაღწია. მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე იეზიდ-ქურთი მოსახლეობის კულტურული განვითარება მწვერვალზე იყო. ხელისუფლება უმცირესობისთვის გამოყოფდა ფინანსურ დახმარებას ქურთულ ენაზე რადიოგადაცემების მაუწყებლობის, ქურთული ენის ფაკულტეტების გახსნის, საცეკვაო ანსამბლების შექმნისა და მსოფლიოში ერთადერთი ქურთული თეატრის დაარსებისთვის. 1990-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა სამოქალაქო ომებმა ეკონომიკურ ვარდნასთან ერთად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს ყველა მოქალაქე და საფუძველი დაუდო ადამიანთა დიდი რაოდენობის, მათ შორის იეზიდ-ქურთების, ქართველების და სხვა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების, ემიგრაციას. საბჭოთა კავშირის დაშლამ ასევე გამოიწვია უმცირესობის ჯგუფის პირობების მკვეთრი გაუარესება. პოლიტიკური მღელვარებისა და ეკონომიკური კრიზისის შედეგად სახელმწიფოს მიერ ადრე გამოყოფილი დაფინანსება შეწყდა, რამაც გამოიწვია თითქმის სრული კოლაფსი ზოგიერთი იმ ინსტიტუტისა, რომელიც ხელს უწყობდა უმცირესობათა მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური მუშახელისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობის გამო ამ პერიოდში აღინიშნა მასობრივი მიგრაცია რუსეთში, უკრაინასა და დასავლეთის ქვეყნებში, სადაც მრავალრიცხოვანი ქურთული მოსახლეობაა, მათ შორის გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ჰოლანდიასა და კანადაში. სერიოზული იყო მოსახლეობის დანაკარგი, 33,331 იეზიდ-ქურთიდან 1989 წელს 20,843 (18,329 თავის თავს უწოდებს იეზიდს, ხოლო 2,514 ქურთს) 2002

⁵ საქართველოდან იეზიდ-ქურთი უმცირესობის მიგრაციის პროცესების დეტალური აღწერილობისთვის იხ. დევიდ სზაკონი, „ეთნიკური მობილიზაცია პოსტ-საბჭოთა საქართველოში: იეზიდ-ქურთების მაგალითი“ 6 *JEMIE* (2007), მასალა ხელმისაწვდომია: <http://www.ecmi.de/jemie/download/2-2007-Szakonyi.pdf> (8 აგვისტო, 2009წ.).

წელს, რაც 37%-ით შემცირებას გულისხმობს.⁶ თუმცა ემიგრაცია ხელმისაწვდომი იყო უმცირესობის მხოლოდ უფრო შეძლებული წარმომადგენლებისთვის და გამოჩენილი და მდიდარი ფიგურების ამ დანაკარგმა ეს ხალხი თავიანთი ინტერესების ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობების გარეშე დატოვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოიხსნა სახელმწიფო დაფინანსება. სამშობლოს არარსებობის გამო ისინი აღმოჩნდნენ მდგომარეობაში, როდესაც ვერავის მიმართავდნენ ორგანიზაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური დახმარებისთვის.

ამ დროიდან მიმდინარეობს ემიგრაციის პროცესი და, თემის ლიდერთა შეფასებით, საქართველოში 2008 წლის ბოლოსათვის მხოლოდ დაახლოებით 12,000 იეზიდ-ქურთი ცხოვრობდა, მაშინ, როდესაც ეს რიცხვი დღეს გაცილებით მცირეა წლებანდელი მნიშვნელოვანი მიგრაციის შედეგად. სტატისტიკის თანახმად ქვეყანას უმეტესწილად ტოვებენ ახალგაზრდა მამაკაცები, თუმცა ემიგრანტი ოჯახების რიცხვი ასევე მაღალია.⁷ ემიგრანტთა უდიდესი უმრავლესობა არის თბილისიდან და თელავიდან, თუმცა ასევე არიან სოფლებიდანაც. უკანასკნელ პერიოდამდე რუსეთი იყო მთავარი დანიშნულების ქვეყანა საქართველოდან მიმავალი იეზიდ-ქურთებისთვის, რადგან რუსეთში დიდი იეზიდ-ქურთული დიასპორაა და ბევრ იეზიდ-ქურთს იქ ნათესავები ჰყავს. მაგრამ 2006 წლის სექტემბერში საქართველო-რუსეთის საზღვრის დაკეტვის, პირდაპირი საჰაერო კავშირის შეწყვეტისა და ვიზის მიღების გართულებული პირობების შედეგად, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოში მომხდარი სამხრეთ ოსეთის ომის შემდეგ რუსეთში წასვლის შესაძლებლობები საგრძნობლად შეიზღუდა. ამან გამოიწვია იეზიდ-ქურთების კიდევ უფრო დიდი რაოდენობის მცდელობა, დასახლებულიყო ევროკავშირის ქვეყნებში. გერმანია განსაკუთრებით მიმზიდველია საქართველოდან წასული უმცირესობის წევრებისთვის: იქ დაახლოებით 30,000-40,000 იეზიდ-ქურთი ცხოვრობს, რაც სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ფარგლებს გარეთ ყველაზე მრავალრიცხოვან იეზიდურ

⁶ დევიდ სზაკონი, *ეთნიკური მობილიზაცია*.. გვ. 7.

⁷ იხ. დანართი.

მოსახლეობას წარმოადგენს.⁸ იეზიდი-ქურთების თემები წარმოდგენილია ასევე ჰოლანდიაში, ბელგიაში, გაერთიანებულ სამეფოში, საბერძნეთში, საფრანგეთში, დანიასა და შვედეთში, თუმცა გერმანიასთან შედარებით ისინი გაცილებით მცირერიცხოვანია. ბოლო წლებში საქართველოდან წასული იეზიდი-ქურთებისთვის სასურველი დანიშნულების ადგილი, გარდა გერმანიისა, იყო ჰოლანდია, დანია, საბერძნეთი, შვეიცარია და ესპანეთი.⁹ მაგრამ წელს საქართველოდან წასული იეზიდი-ქურთების ემიგრანტთა ნაკადისთვის ძირითადი დანიშნულების ქვეყნები იყო საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია და ბელგია.¹⁰

ემიგრაციამ რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი იქონია საქართველოში მყოფ იეზიდ-ქურთულ უმცირესობაზე. ამ ჯგუფის ფინანსური საფუძვლების დაკნინების გარდა, ამან ასევე გაართულა უმცირესობისთვის მისი ტრადიციების შენარჩუნება. საზოგადოება ემყარება მხოლოდ კასტური სისტემის შიგნით არსებულ ურთიერთობებს, სადაც თითოეულ კასტას თავისი სპეციფიკური როლი აქვს, ხოლო მოსახლეობის მნიშვნელოვანი დანაკარგის გამო პროპორციული თანაფარდობა კასტებს შორის ვერ იქნა შენარჩუნებული. მაგალითისათვის, ეს ნიშნავს იმას, რომ უფრო ცოტა იყო სულიერი ლიდერი, რომელსაც შეეძლო რელიგიური ტრადიციების ახალგაზრდა თაობისთვის გადაცემა. გარდა ამისა, რადგან უმცირესობის წევრებს უფლება აქვთ, იქორწინონ მხოლოდ თავიანთი ქვეკასტის წევრზე, მათთვის ძალიან გაძნელდა მეუღლის პოვნა თემის შიგნით. თემის წევრებს შორის ურთიერთობის დაბალი დონისა და ორგანიზებული დონისძიებების თუ შეხვედრების საშუალებით ქვეკასტის წევრების გაცნობის მცირე შესაძლებლობების გამო გაიზარდა თემის გარეთ ქორწინებების რიცხვი. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია კულტურის დაკარგვა, ვინაიდან, იეზიდური ტრადიციის თანახმად, პირი, რომელიც თავისი ქვეკასტის გარეშე პირზე

⁸ ვრიტნეტი (2008) *იეზიდი უმცირესობის მდგომარეობა სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი) ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გაერო-ს ადამიანთა უფლებათა უმაღლესი კომისარიატის დაკვეთით*, გვ. 37. იხ. ვებგვერდზე: www.unhcr.org/refworld/pdfid/485fa2342.pdf

⁹ იმავე წყაროდან, გვ. 38.

¹⁰ როგორც ქვემოთ იქნება განხილული, პოლონეთი ბევრი ემიგრანტის მიერ გამოიყენება, როგორც ტრამპლინი ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მოსახვედრად და არ განიხილება როგორც საბოლოო დანიშნულების ადგილი.

იქორწინებს, აღარ ითვლება ეთნიკური ჯგუფის წევრად და მას ეკრძალება ნებისმიერი სახის რელიგიურ ტრადიციებში მონაწილეობა.¹¹

იეზიდ-ქურთებს შორის ქართული ენის გამოყენებაზე ასევე გავლენა იქონია 1990-იან წლებში ეკონომიკურმა ვარდნამ. მანამდე იეზიდ-ქურთებს ქართული ენის ცოდნის საკმაოდ ნორმალური დონე ჰქონდათ, რადგან ამ ჯგუფის უმრავლესობა დიდ ქალაქებში ცხოვრობდა და, შესაბამისად, ხშირი კონტაქტი ჰქონდა ქართულენოვან მოსახლეობასთან. ცხოვრების დონის გაუარესებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეცვალა იეზიდ-ქურთების დამოკიდებულება ქართული ენისადმი. ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად ქართული ოფიციალურ სახელმწიფო ენად გამოცხადდა, მაგრამ აქ არსებული მწირი ეკონომიკური შესაძლებლობების გამო მშობლებმა დაიწყეს თავიანთი შვილების გაგზავნა რუსეთის სასწავლებლებში, რათა მოემზადებინათ ისინი რუსეთში სამუშაოდ. უცხოეთში მომავალი ცხოვრებისთვის შვილების მომზადებით მშობლებმა ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა თაობების სწრაფვას ემიგრაციისკენ, რითაც შეიძლება აიხსნას უწყვეტი მიგრაციის პროცესი 1990-იანი წლების კრიზისის შემდეგ. ამას გარდა, სახელმწიფო ენის სათანადოდ ცოდნის გარეშე ახალგაზრდებს ნაკლები საფუძველი ჰქონდათ საქართველოში დასარჩენად.¹²

იეზიდ-ქურთი უმცირესობის ამჟამინდელი მდგომარეობა

იეზიდ-ქურთების მიერ საქართველოს დატოვების მთავარი მიზეზი არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საზღვარგარეთ განვითარების სავარაუდო შესაძლებლობები. ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე პირობები შეუქმნა საზოგადოების უდიდეს სეგმენტს, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, მაგრამ ყველაზე მეტად დაზარალდნენ სოციალურად დაუცველი ისეთი ჯგუფები, როგორც არიან იეზიდ-ქურთები. ზოგადად იეზიდ-ქურთებისთვის სამუშაოს შოვნა საქართველოში ძალიან ძნელია და უმუშევრობის მაღალი დონე აიძულებს ადამიანებს, ეძებონ უკეთესი

¹¹ დევიდ სზაკონი, *ეთნიკური მობილიზაცია...* გვ. 8-9.

¹² იმავე წყაროდან, გვ. 9-10.

პირობები სხვაგან. ეს სიძნელეები ხანდახან დამოკიდებულია ოფიციალური ენის არცოდნაზე, ვინაიდან ქართული ენის არცოდნა მნიშვნელოვნად ამცირებს დასაქმების შანსებს. მაგრამ დასაქმებასთან დაკავშირებული სიძნელეები ასევე წარმოიშვება ფართო საზოგადოებაში არსებული ცრურწმენების შედეგად და, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ იეზიდო-ქურთების მიმართ ხორციელდება დისკრიმინაცია, უმცირესობათა ჯგუფებისადმი მიკუთვნებული პირები ხშირად აწყდებიან უფრო მეტ სირთულეს სამუშაოს შოვნისას, ვიდრე ეთნიკური ქართველები. იეზიდო-ქურთების მიმართ არსებული სტერეოტიპები შესაძლოა ასევე ხელს უშლის უმცირესობის წევრებს დასაქმებაში, ვინაიდან მათ იცნობენ როგორც დაბალი სტატუსის მქონე სამუშაოზე მომუშავეებს, რაც ქმნის სიტუაციას, როდესაც მათთვის ძნელია ამ სფეროს გარეთ სამუშაოს შოვნა. იეზიდო-ქურთი მოსახლეობის გაუნათლებელი ნაწილისთვის ანუ ამ ჯგუფის უმრავლესობისთვის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე პირობებს ქმნის. განსაკუთრებით ახალგაზრდები გრძნობენ, რომ საქართველოში პერსპექტივა არ არის და ძალიან მცირე შესაძლებლობებია, თუ არის საერთოდ, პიროვნული განვითარების ან ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის. 2008 წლის ომმა კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებულ პირთა გაჩენით, რომლებიც ახლა იბრძვიან სამუშაოს მოსაპოვებლად ისეთ ურბანულ ცენტრებში, როგორიც თბილისია.

იეზიდო-ქურთი მოსახლეობის წინაშე დამატებითი პრობლემები დგას მათი კულტურის, ენისა და რელიგიის მიმართ მხარდაჭერის ნაკლებობის თვალსაზრისით. პარლამენტში, მთავრობაში ან ადგილობრივ დონეზე არ არიან იეზიდო-ქურთების წარმომადგენლები, რომლებიც დაიცავდნენ უმცირესობის ინტერესებს და სოციალური ინტეგრაციის ნაკლებობის შედეგი აისახება საზოგადოების სხვადასხვა სფეროში. უმცირესობის ჩართულობის დონე ძალზე დაბალია და არ არსებობს კონკრეტული პროგრამები, რომლებიც გამიზნულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობის ჩართვის ხელშეწყობისთვის. გარდა ათწუთიანი ყოველკვირეული გადაცემისა სახელმწიფო რადიოარხზე, რომელიც ინიცირებული იქნა 2008 წელს, არ არის არც ერთი

საინფორმაციო წყარო, მაგალითად, გაზეთი ან სატელევიზიო პროგრამა, ქურმანჯულ ენაზე. რამდენიმე იეზიდურ-ქურთულმა ორგანიზაციამ შეიტანა განცხადება გრანტების მისაღებად როგორც მთავრობაში, ისე სხვადასხვა საელჩოში, ენისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსების დაარსების მიზნით, მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს ქურმანჯული ენის კურსები და იმის გათვალისწინებით, რომ ამ ენაზე იეზიდურ-ქურთი მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით 30% ლაპარაკობს, ენის დაკარგვა არის ერთ-ერთი საფრთხე, რომლის წინაშეც დგას უმცირესობა.¹³ მიუხედავად განმეორებითი მოთხოვნებისა სხვადასხვა იეზიდურ-ქურთული ორგანიზაციის მხრიდან, ხელისუფლებას არ გამოუყვია ადგილი კულტურული ცენტრის გასახსნელად, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ენის კურსების და ასევე რელიგიური ღვთისმსახურების ჩატარება.

ღვთისმსახურებისათვის სათანადო ადგილის უქონლობა ხელს უწყობს საქართველოში იეზიდუზმის ეტაპობრივ გაუჩინარებას.¹⁴ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ საზოგადოებაში და რელიგიის დიდი მნიშვნელობა გამოიხატება როგორც საჯარო სკოლებში რელიგიური სწავლებით, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლმადიდებელი მღვდლების მაღალი ჩართულობით. დაწყებით და საშუალო სკოლებში ტარდება გაკვეთილები მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების შესახებ, რაც იწვევს ახალგაზრდებში ცოდნის ნაკლებობას იეზიდუზმის და სხვა სარწმუნოებების შესახებ. სულიერ ლიდერთა იშვიათი სტუმრობა ასევე ხელს უწყობს რელიგიის ძალის შესუსტებას და ახალგაზრდა იეზიდურ-ქურთები სულ უფრო მეტად იხრებიან მართლმადიდებლური სარწმუნოებისკენ, რომელსაც მიეკუთვნება ქართველთა უმრავლესობა.¹⁵ იმ პირობებში, როდესაც ბევრი იეზიდურ-ქურთი იღებს ქრისტიანობას, ხოლო მათი დიდი რაოდენობა ემიგრაციაში მიდის, თემისთვის სულ უფრო ძნელი ხდება საქართველოში თავისი არსებობის გაგრძელება.

¹³ ჯონათან ვითლი (2006) საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის განხორციელება: ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, ECMI სამუშაო ფურცელი #28, ფლენსბურგი: ECMI, გვ. 60. www.ecmi.de/download/working_paper_28.pdf

¹⁴ იეზიდურ-ქურთული ტაძრის/კულტურული ცენტრის მშენებლობის შესახებ დეტალური დისკუსიისათვის იხ. დავიდ სზაკონუი, *ეთნიკური მობილიზაცია...*

¹⁵ *იმავე წყაროდან*. გვ. 14-15.

ნათელია, რომ ასიმილაციის პროცესი წარმოადგენს რეალურ საფრთხეს უმცირესობის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და იწვევს გულწრფელ შიშს თემის შიგნით, რომ მათი კულტურა, რელიგია და ენა მალე გაქრობის ზღვარზე იქნება საქართველოში.

გზა ევროკავშირისკენ

ზემოთ აღწერილი პირობები უბიძგებს ბევრ იეზიდ-ქურთს საქართველოს დატოვებისაკენ. დღესდღეობით ოცნება, როგორც წესი, არის ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში წასვლა უკეთესი ცხოვრების იმედით, რასაც ადასტურებს ბოლოდროინდელი უპრეცედენტო ნაკადი ქართველებისა, რომლებიც ცდილობენ, მოახერხონ პოლონეთში, გერმანიასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში შესვლა, ლეგალურად თუ არალეგალურად. როგორც ჩანს, 2009 წლის აპრილ-მაისის თვეებში საქართველოში გავრცელდა ხმა, რომ პოლონეთ-ბელორუსიის საზღვარი ღიაა საქართველოს მოქალაქეებისთვის. გამოკითხული პირები განმარტავენ, რომ მათ ჰყავთ ოჯახები და მეგობრები, რომელთაც მოითხოვეს თავშესაფარი პოლონეთში, რაც განაპირობებს მათ სურვილს, წავიდნენ ამ ქვეყანაში. პოლონეთში მყოფი ოჯახებისა და მეგობრებისგან წამოსული ინფორმაციით, ყველაზე ადვილი გზა ევროკავშირში მოსახვედრად არის ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნა. როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს ასევე სჯერა, რომ მათ გულთბილად მიიღებენ პოლონეთში პოლონეთის პრეზიდენტის მიერ 2008 წლის სამხრეთ ოსეთის ომის შემდეგ საქართველოში მისი განმეორებითი ვიზიტების დროს ქართველი ხალხისადმი გამოხატული სოლიდარობის გამო.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საზღვარი ღიაა, სწრაფად გავრცელდა, რამაც გამოიწვია ერთდროულად დიდი რაოდენობით ქართველის მიერ ქვეყნის დატოვება. ოფიციალურ განცხადებაში სექტემბერში პოლონეთის საელჩომ უარყო ინფორმაცია „პოლონეთის ვითომდა ღია საზღვრის“ შესახებ და განაცხადა, რომ არაფერი შეცვლილა კანონმდებლობაში საზღვრის გადაკვეთასთან და ქვეყანაში კანონიერად

დარჩენისთვის განაცხადის შეტანის შესაძლებლობასთან მიმართებაში.¹⁶ პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა ოფისის ცნობით, ბოლო წლებში არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოს მოქალაქეებს მიეღოთ თავშესაფარი. განაცხადები თავშესაფრის მოთხოვნით განიხილება ინდივიდუალურად, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოელთა ოფისის ხელთ არსებულ ინფორმაციას წარმოშობის ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ. პოლონეთის ამჟამინდელი პრაქტიკის მიხედვით, თავშესაფრის მაძიებლებს საქართველოდან, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ საკმარისი არგუმენტაცია იმისათვის, რომ მიენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი პოლონეთში. ოქტომბერში გავრცელდა ხმა, რომ საზღვარი ჩაიკეტა, თუმცა ყველა ადამიანს კვლავ აქვს უფლება, მოითხოვოს თავშესაფარი პოლონეთში. რეალურად კი აშკარა გახდა პოლონეთში თავშესაფრის მიღების შეუძლებლობა და ამიტომ, გამოკითხულთა განცხადებით, ეს ქვეყანა აღარ წარმოადგენს სასურველი დანიშნულების ადგილს ემიგრანტებისთვის.

კიდევ ერთი ჭორი, რომელიც გავრცელდა საქართველოში აპრილის შემდეგ, არის ის, რომ პოლონეთში თავშესაფრის მიღება უფრო ადვილია იეზიდი-ქურთებისთვის, ვიდრე საქართველოს სხვა მოქალაქეებისთვის.¹⁷ ეს შეხედულება გახდა ალბათ მიზეზი ქურთების მასობრივი მცდელობისა, შესულიყვნენ წელს პოლონეთში. იმისათვის, რომ რეალურად დაემტკიცებინათ, რომ ისინი უმცირესობას მიეკუთვნებოდნენ, ზოგიერთმა იეზიდმა-ქურთმა მოითხოვა მათი თავდაპირველი ქურთული გვარების აღდგენა, რომლებიც ტრადიციულად წარმოიქმნა ოჯახური გვარიდან ან მათი წარმოშობის რეგიონებიდან. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში შემოსვლისას 1900-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლებამ – იმ დროს იმპერიულმა რუსეთმა – შეუცვალა მათ გვარები და ამგვარად ამ ქვეყნებში დასახლებულ უმცირესობის წევრებს,

¹⁶ 'The Georgian Times', პოლონეთის საელჩოს ოფიციალური განცხადება, 5 სექტემბერი, 2009.

¹⁷ თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეები წინა წლებში და ასევე სხვა ქვეყნებში ჩვეულ არგუმენტად იყენებდნენ ქურთულ წარმოშობას. იყო შემთხვევები, როდესაც ეთნიკური ქართველები შოულობდნენ ყალბ საბუთებს, რომ ისინი ქურთული წარმომავლობის არიან. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (2001) *გაჭირვება საზღვარგარეთ თუ შიშველი სამშობლოში* – საქართველოდან არარეგულარული მიგრაციის გამოკვლევა, იხ. ვებ-გვერდზე: http://iom.ramdisk.net/iom/images/uploads/Georgia_Report%20on%20Trafficking_2001_En_1071070157.pdf

როგორც წესი, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული ან რუსული გვარები აქვთ. თბილისში არის რამდენიმე ქურთული ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს, დაეხმაროს იეზიდ-ქურთებს მათი ნამდვილი ქურთული გვარების დაბრუნებაში მათთვის ქურთული წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთის გაცემით. მაგრამ ადამიანის მიერ ნამდვილი გვარის დაბრუნების პროცესი საკმაოდ გართულებულია. მაშინ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართულია სახელის შეცვლა, ქურთული გვარის აღდგენა თითქმის შეუძლებელია იმის გამო, რომ პროცედურები გართულებულია და არ არსებობს იურიდიული სიცხადე იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიცავს გვარის დაბრუნება და როგორც შეიძლება სახელი დაუბრუნდეს თავის ორიგინალს.¹⁸ გამუდმებული უარი თემის მიერ აღიქმება როგორც ხელისუფლების წინასწარგანზრახული მცდელობა, ხელი შეუშალოს იეზიდ-ქურთებს მათი ნამდვილი გვარების აღდგენაში.

იმ შეხედულებამ, რომ ქურთებს უფრო ადვილად შეუძლიათ თავშესაფრის მიღება პოლონეთში, უბიძგა სხვა ჯგუფების წევრებს, მათ შორის ეთნიკურ ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, შეეტანათ განაცხადი თავშესაფარზე, რომელშიც აცხადებდნენ, რომ ქურთები იყვნენ. თავშესაფრის მიღებაზე განაცხადების განმხილველი ორგანოსათვის პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გარკვევა, ვინ არის ემიგრანტებს შორის ქურთი და ვინ არა. გამომდინარე იქიდან, რომ ქურთების უმრავლესობა არ ატარებს თავის ნამდვილ გვარს, რომელიც გამოარჩევდა მათ სხვა ჯგუფების წევრებისაგან, შეუძლებელია, მაგალითად, განასხვავო ქურთი და სომეხი მხოლოდ მათ გვარებზე დაყრდნობით. იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრებ ქურთებში ენის ცოდნის განსხვავებული დონეებია, ლინგვისტური ფაქტორები ასევე არ გამოდგება თავშესაფრის მაძიებელთა ვინაობის დასადგენად.

ევროპაში თავშესაფრის ძიება ძვირადღირებული წამოწყებაა, რომლის ფასები იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მარშრუტს ირჩევს ადამიანი ევროკავშირის ქვეყნებისკენ. საქართველოდან ემიგრანტებს შეუძლიათ აირჩიონ რამდენიმე მარშრუტი,

¹⁸ Humanrights.ge, *ქურთ-იეზიდთა დისკრიმინაცია საქართველოში*, 15 ოქტომბერი, 2004.

რომ მიაღწიონ სასურველი დანიშნულების წერტილამდე. იმისათვის, რომ ჩავიდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ემიგრანტები, ჩვეულებრივ, მიემგზავრებიან თვითმფრინავით თბილისიდან ისეთ ქალაქებში, როგორც არის ფრანკფურტი, ამსტერდამი, ვენა ან პარიზი და შემდეგ ავტობუსით ან მატარებლით მიდიან საბოლოო დანიშნულების წერტილამდე ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან. რუსეთი იყო მთავარი სატრანზიტო ქვეყანა საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც თვითმფრინავით მგზავრობდნენ მოსკოვამდე და აგრძელებდნენ გზას დასავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ. მაგრამ თვითმფრინავით ჩაფრენისას უშუალოდ ევროკავშირის ქვეყნის აეროპორტში საჭიროა ვიზის აღება, რაც ემიგრანტებისთვის ხშირად ძნელად მოსახერხებელია საკუთარი ძალებით. ვიზის მისაღებად საჭიროა რიგი დოკუმენტებისა, მათ შორის საქართველოში დასაქმების დამადასტურებელი ცნობა და ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან. პოტენციურ ემიგრანტებს ხშირად არა აქვთ ამ დოკუმენტების მოპოვების საშუალება და, შესაბამისად, სჭირდებათ სათანადო აგენტების ან უკანონოდ მოქმედი შუამავლების დახმარება, რაც ძალიან ძვირადღირებული ვარიანტებია. შუამავლებს შეუძლიათ ვიზის მიღების გაადვილების მიზნით დამატებითი დოკუმენტების უზრუნველყოფა, როგორც არის მოწვევა უცხოური კომპანიიდან ან ყალბი სამსახურის ცნობა, ყველაფერი ეს ძალიან მაღალ ფასად.

კიდევ ერთი ვარიანტია ევროკავშირის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, რაც, ჩვეულებრივ, მოითხოვს აგენტებთან დაკავშირებას, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ გადასვლა არჩეულ ადგილას. ავტობუსით არალეგალურად მგზავრობა უკრაინის გავლით სლოვაკეთის ან უნგრეთისკენ გავრცელებული ალტერნატივა იყო ქართველი ემიგრანტებისთვის. კიდევ ერთი შესაძლო და ხშირად გამოყენებული მარშრუტი არის თურქეთის გავლით საბერძნეთში ჩასვლა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით და შემდეგ ავტობუსით ან თვითმფრინავით გზის გაგრძელება ევროკავშირის სხვა ქვეყნებისკენ.¹⁹ ევროკავშირში შესვლის ამ ვარიანტებთან შედარებით ახლად აღმოჩენილი მარშრუტი პოლონეთის გავლით უფრო იაფი და

¹⁹ მიგრაციის საერთაშორისო ოფისი (2008) *მიგრაცია საქართველოში: ქვეყნის დახასიათება 2008*, გვ. 33. იხ. ვებ-გვერდზე: http://publications.iom.int/bookstore/free/Georgia_Profile2008.pdf

ნაკლებად რთული ალტერნატივაა. ფაქტობრივად, ეს იაფი ვარიანტი მეტ ადამიანს აძლევს ემიგრირების საშუალებას.

საქართველოდან თავშესაფრის მაძიებლების გადასვლა პოლონეთში, ჩვეულებრივ, ხდება პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე ტირასპოლში, ბრესტის მახლობლად, არსებული გამშვები პუნქტიდან, თბილისიდან მინსკში თვითმფრინავით ჩაფრენის შემდეგ. 2009 წლის 21 ივლისიდან ყოველკვირეული ფრენების სიხშირე ორ ქალაქს შორის გაიზარდა ოთხიდან ხუთ რეისამდე, რაც სავარაუდოდ განაპირობა საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა ბევრად გაზრდილმა რაოდენობამ.²⁰ მოგვიანებით „ბელავიამ“, ბელარუსულმა ავიაკომპანიამ, კიდევ გაზარდა რეისების რაოდენობა კვირაში ექვსამდე. საქართველოს მოქალაქეებისთვის არ არის საჭირო ვიზა ბელარუსიაში შესასვლელად, ხოლო ბელარუსიელი მესაზღვრეები პოლონეთის საზღვართან არ აკონტროლებენ, რომ ადამიანებს, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას, ჰქონდეთ ვიზა, რომელიც მათ შემდგომი მგზავრობის უფლებას აძლევს. ემიგრანტებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ მიაღწიონ პოლონეთის მხარის საზღვრამდე, სადაც ისინი ითხოვენ თავშესაფარს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების ჩაბარებით სასაზღვრო გამშვები პუნქტის უფროს ოფიცერთან. შესაბამისად, ევროკავშირში ფიზიკურად შესასვლელად არ არის საჭირო პოლონეთის ვიზა.

ადამიანს აქვს თავშესაფრის მოთხოვნის უფლება სხვა ქვეყანაში, როდესაც მის სამშობლოს არ შეუძლია მისი დაცვა დევნისაგან. 1951 წლის ჟენევის კონვენციის თანახმად, რომელიც შეეხება ლტოლვილთა სტატუსს, ადამიანს შეუძლია მოითხოვოს თავშესაფარი მის მიმართ რასის, ეროვნების, რელიგიის, სოციალური კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების ნიადაგზე დევნის საშიშროების სათანადოდ დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე. იეზიდი-ქურთები ასახელებენ სხვადასხვა მიზეზს მათ მიერ თავშესაფრის მოთხოვნის არგუმენტად, რომელთაგან მთავარი მოტივი არის დისკრიმინაცია ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე. საქართველოში მცხოვრები იეზიდი-ქურთების ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, ეს მიზეზები

²⁰ „ბელავია“, 29 ივნისი, 2009, <http://en.belavia.by/news/news/0244160/>.

ხშირად ადეკვატურად არ ასახავს რეალობას, არამედ უფრო გამოგონილია ლტოლვილის სტატუსის ან მინიმუმ ქვეყანაში შესვლის უფლების მოპოვების მიზნით. ყველა განაცხადი განიხილება, იმისდა მიუხედავად, ლეგალურად მოხვდა ადამიანი ქვეყანაში თუ არა ლეგალურად.²¹ პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა ოფისი პასუხისმგებელია თავშესაფრის მოთხოვნების განხილვაზე და, შესაბამისად, განცხადება ეგზავნება უცხოელთა ოფისის უფროსს და შემდეგ გადაეცემა შესაბამის განყოფილებას.²² თავშესაფრის მაძიებელმა უნდა მიმართოს ცენტრალურ მიმღებს პოდკოვა ლესნა-დებაკში, ვარშავის მახლობლად, სადაც ის გადის სამედიცინო შემოწმებას ექიმის მიერ პოლონეთის 25 ლტოლვილთა ბანაკიდან ერთ-ერთში მოთავსებამდე. შესაძლებელია ასევე კერძოდ დასახლება, რასაც უპირატესობას ანიჭებს ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა.

პოლონეთში ცხოვრებისას თავშესაფრის მაძიებელთა პირობები ხშირად მძიმეა. თავშესაფრის მიღების პროცესი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმეთვიან ლოდინს ყველა პროცედურის დასრულებამდე. ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავშესაფრის მაძიებლები რჩებიან ან ლტოლვილთა ბანაკებში, ან კერძო საცხოვრებლებში და, როგორც ცნობილია, ორივე შემთხვევაში ისინი ცუდ პირობებში იმყოფებიან და განიცდიან საკვების ნაკლებობას. იმისდა მიხედვით, თუ რომელ ბანაკში იქნა მოთავსებული განმცხადებელი და რამხელაა მისი ოჯახი, ის იღებს სხვადასხვა ოდენობის შემწეობას, დაახლოებით 20 ზლოტის ოდენობით (რაც დაახლოებით 5 ევროა) დღეში და ეძლევა საცხოვრებელი, საკვები და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება. მათ, ვინც ბანაკის გარეთ კერძო სექტორში ცხოვრობს, უხდიან 800 ზლოტს (დაახლოებით 190 ევროს) თვეში საცხოვრებლის, საკვების და სხვა საჭიროებებისთვის. საქართველოში ზოგიერთ გამოკითხულთა აზრით, თავშესაფრის

²¹ როგორც ქვემოთ იქნება განხილული, თავშესაფრის მაძიებლის განცხადება, რომელსაც ადრე შეტანილი ჰქონდა განაცხადი თავშესაფარზე ევროკავშირის ამავე ქვეყანაში, განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა ახალი ფაქტები ან გარემოებები. სხვა შემთხვევაში განაცხადი დაუყოვნებლივ იქნება უარყოფილი.

²² უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელს შესაძლებლობა აქვს მიმართოს მეორე ინსტანციას, ლტოლვილთა საბჭოს. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ მიანიჭებს თავშესაფრის მაძიებელს ლტოლვილის სტატუსს, მან უნდა დატოვოს ქვეყანა. თუ ეს არ მოხდება ნებაყოფლობით, პიროვნება დეპორტირებული იქნება უკან სამშობლოში.

მაძიებელთა საქართველოში დარჩენილი ოჯახები ზოგჯერ უგზავნიან ფულს თავიანთ ნათესავებს პოლონეთში, სხვა ემიგრანტები კი არალეგალურად მუშაობენ ქვეყანაში თავშესაფრის მიღების პროცესში. გარდა ამისა, გადაჭედულ ბანაკებში დიდი რაოდენობით არიან ჩეჩნები, რომლებიც ელოდებიან თავშესაფარზე განცხადებების განხილვას და, არსებული ინფორმაციით, ზოგიერთი ჩეჩენი და ქართველი ჯგუფები ხშირად ერთგებიან ჩხუბში, რაც იქ მცხოვრებთათვის ძალიან არასაიმედო სიტუაციას ქმნის. ემიგრანტთა გარკვეული ნაწილი ირჩევს, არ დარჩეს ბანაკებში ან კერძო საცხოვრებელში მათი საქმის განხილვის დასრულებამდე, არამედ აგრძელებს არალეგალურად მიგრაციას დასავლეთით ევროკავშირის ქვეყნებისკენ.

თავშესაფრის მიღების პროცესში თავშესაფრის მაძიებლები ვალდებულნი არიან, დარჩნენ პოლონეთში და არა აქვთ უფლება, გადაკვეთონ შენგენის ზონის წევრი სხვა სახელმწიფოების საზღვრები. განმცხადებელი ვერ განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყანა განიხილავს მის განცხადებას თავშესაფარზე. ღუბლინის დადგენილება²³ არის შეთანხმება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანას, რომელიც პასუხისმგებელია თავშესაფრის მინიჭების შესახებ განაცხადების განხილვაზე. მისი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად განსაზღვროს პასუხისმგებელი წევრი-სახელმწიფო²⁴ და უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებლის გადაყვანა ამ სახელმწიფოში, რომელიც ამის შემდეგ დაასრულებს თავშესაფარზე განაცხადის შესწავლას. ღუბლინის დადგენილების თანახმად წევრი სახელმწიფო, რომელსაც თავშესაფრის მაძიებელმა თავდაპირველად მიმართა თავშესაფრის თხოვნით, ჩვეულებრივ, კისრულობს პასუხისმგებლობას ამ პირზე იმ გაგებით, რომ, თუ ადამიანს სურს შეიტანოს განაცხადი თავშესაფარზე ევროკავშირის რომელიმე სხვა ქვეყანაში, ის, ფორმალურად მაინც, პირველად უნდა ჩავიდეს იმ ქვეყანაში, სადაც სურს თავშესაფრის მიღება. შესაბამისად, თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც ცდილობენ, მოიპოვონ თავშესაფარი, მაგალითად, გერმანიაში ან საფრანგეთში,

²³ ევროკავშირის საბჭოს რეზოლუცია (EC) # 343/2003, 18 თებერვალი, 2003.

²⁴ ღუბლინის დადგენილება მოიცავს ევროკავშირის ქვეყნებს და ასევე ნორვეგიასა და ისლანდიას სპეციალური შეთანხმების საფუძველზე.

როგორც წესი, არალეგალურად კვეთენ ევროკავშირის საზღვარს, რათა შემდგომ მოხვდნენ სასურველ ქვეყანაში და იქ შეიტანონ განცხადება თავშესაფარზე.

ევროკავშირში შემავალ ყველა ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნით განაცხადის შეტანა შესაძლებელია ერთზე მეტჯერ, მაგრამ თუ საქმეში არ არის ახალი ფაქტები ან გარემოებები, განაცხადი ითვლება ამკარად დაუსაბუთებლად და დაუყოვნებლივ ხდება მისი უარყოფა.²⁵ საქართველოს ბევრი მოქალაქისათვის, რომელთა განაცხადებიც უარყოფილი იქნა, ეს ნიშნავს, რომ თავშესაფრის მოთხოვნა ვეღარ იქნება პოლონეთიდან ევროკავშირში მოხვედრის საშუალება. თუმცა ზოგიერთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ევროკავშირში მოხვედრა და სანაცვლოდ ცდილობს იქ არალეგალურად შეღწევას დამოუკიდებლად ან ადამიანთა ტრეფიკინგით დაკავებული ჯგუფების დახმარებით. რესპონდენტები საქართველოში განმარტავენ, რომ ამ დროისთვის უკვე ცხადი გახდა, რომ პოლონეთში არ არის ლტოლვილის სტატუსის მიღების შესაძლებლობები და ამიტომ ზოგიერთი ცდილობს, არაკანონიერად გადაკვეთოს ევროკავშირის გარე საზღვრები სხვა ქვეყნებში თავშესაფრის მიღების ან სადმე ევროკავშირის ფარგლებში მალულად ცხოვრების მიზნით. გამოკითხულთა უმრავლესობას მიზნად ჰქონდა დასახული გერმანიაში ან საფრანგეთში წასვლა. გერმანია იზიდავს იეზიდ-ქურთებს მისი დიდი დიასპორით, თუმცა გასულ წელს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ცოტა შემთხვევა იყო. საფრანგეთის არჩევა დანიშნულების ადგილად სავარაუდოდ შეიძლება აიხსნას წინა წლებში საქართველოს მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მიცემის შედარებით მაღალი მაჩვენებლით.²⁶

იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საქართველოს მოქალაქეებმა სცადეს ევროკავშირში მოხვედრა ბულარუსის საზღვრის არალეგალურად გადაკვეთით პოლონეთის, ლიტვისა და ლატვიის მიმართულებით. ამის გამო ბულარუსმა გააძლიერა სასაზღვრო კონტროლი მონადირეების დაქირავებით, რომელთაც დავალებული

²⁵ თავშესაფარზე განაცხადის რამდენჯერმე შეტანის შესაძლებლობა სირთულეს ქმნის სტატისტიკაში, ვინაიდან ერთი და იგივე ადამიანი ერთზე მეტჯერ არის დათვლილი.

²⁶ UNHCR-ის ყოველწლიური სტატისტიკური ცნობარები, www.unhcr.org/pages/4a02afce6.html.

ჰქონდათ საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას უკანონო ემიგრანტების დაჭერა.²⁷ ბელარუსის სახელმწიფო საზღვრის კომიტეტი თანამშრომლობს ევროკავშირთან არალეგალური მიგრაციის არსების გამოსავლენად, მთავარი ამოცანა კი მათი პოვნაა, ვინც ემიგრანტების მეზურია სასაზღვრო ზონებში. ამავე მიზნით პოლონეთსა და ბელარუსს შორის თანამშრომლობა ემყარება 1961 წლის სამთავრობო ხელშეკრულებას პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე ლეგალური ურთიერთობების შესახებ. არსებობენ გარკვეული კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც ეხმარებიან ხალხს საზღვრის გადაკვეთაში, ჩვეულებრივ, მწვანე ზონების გავლით. პოლონეთ-ბელარუსის აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ არის ტყეები, ტბები და მთები, რაც განსაკუთრებით ხელს აძლევს ადამიანთა ტრეფიკინგით დაკავებული ჯგუფებს ამ ტერიტორიაზე მოქმედებისთვის. საქართველოს მოქალაქეების გადმოცემით, ჩეჩნები იცდიან აეროპორტის გარეთ მინსკში, როდესაც იქ ჩადიან თვითმფრინავები თბილისიდან და სთავაზობენ ხალხს თავიანთ მომსახურებას, რომელსაც ზოგი ისე თანხმდება, რომ არ აცნობიერებს ამასთან დაკავშირებულ რისკებს. არის ცნობები, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ კრიმინალურ ჯგუფებს მიჰყავთ ემიგრანტები ტყეებში და ძარცვავენ. ვრცელდებოდა ასევე ხმები ემიგრანტების მკვლელობების შესახებ. სხვა ტიპის ჯგუფი, რომელიც, როგორც ცნობილია, ასევე ჩეჩნებისგან შედგება, მოქმედებს პოლონეთის ბანაკებში და მიზნად ისახავს, დაეხმაროს ხალხს საზღვრების გადაკვეთაში ევროკავშირის შიგნით, მაგალითად, საფრანგეთში ან გერმანიაში მოსახვედრად. ეს ჯგუფები უფრო საიმედოდ ითვლება, რადგან, არსებული ინფორმაციით, ისინი ხშირად აღწევენ თავიანთ მიზანს. გამომდინარე იქიდან, რომ შენგენის ქვეყნებს შორის არ არის სასაზღვრო გამშვები პუნქტები, შედარებით ადვილია სახელმწიფო საზღვრის შეუმჩნეველად გადაკვეთა მანქანით. იმისდა მიხედვით, თუ სად სურს ადამიანს გამგზავრება, საზღვრის გადაკვეთის ღირებულება მერყეობს 500-დან 2,500 ევრომდე. საფრანგეთში ჩასვლა უფრო ძვირია, ვიდრე გერმანიაში, ვინაიდან უფრო შორი მანძილია და, შესაბამისად, რისკიც მეტია. ადამიანები, ვისაც

²⁷ 'Georgian Times', „ბელორუსია ცდილობს შეაჩეროს ქართველები ევროპაში გაქცევისგან“, 2009 წლის 7 სექტემბერი.

არ შეუძლია საფასურის გადახდა ასეთი ჯგუფებისთვის, ხშირად ცდილობენ, დამოუკიდებლად გადაკვეთონ საზღვრები მანქანით ან ტაქსით.

სინამდვილეში პოლონეთში მოხვედრა არ არის ემიგრანტთა საბოლოო მიზანი და ის უფრო გამოიყენება, როგორც სატრანზიტო ქვეყანა ევროკავშირში შესასვლელად. უმრავლესობას სურს წასვლა უფრო დასავლეთით მდებარე ევროპულ ქვეყნებში, როგორც არის გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია და ბელგია. ეს საკმაოდ რთული წამოწყებაა, ვინაიდან თავშესაფრის მაძიებლებს პოლონეთში ლტოლვილის სტატუსის მიღების მოლოდინში არა აქვთ უფლება, გადაკვეთონ შენგენის ზონის სხვა წევრი სახელმწიფოების საზღვრები. მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში მიიპყრო ყურადღება, როდესაც ქართველი მოქალაქეები ცდილობდნენ პოლონეთსა და შენგენის სხვა ქვეყნებს შორის საზღვრის, მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკასთან არსებული საზღვრის, გადაკვეთას. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ცდილობდნენ არალეგალურად გამგზავრებას ჩეხეთის გავლით ავსტრიაში, სადაც ისინი დაკავებულნი იქნენ პოლიციის მიერ სასაზღვრო ზონაში. 2007 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის შენგენში გაერთიანების შემდეგ²⁸ პოლიცია ატარებს შემთხვევით რეიდებს სასაზღვრო ტერიტორიებზე. პოლიციას შენგენის ზონის ფარგლებში უფლება აქვს, მოითხოვოს ამ ზონის გარეთ მყოფი ქვეყნების მოქალაქეებისგან დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ მათ აქვთ ქვეყანაში ყოფნის უფლება. უკანონო ემიგრანტების დაკავების შემთხვევაში მათ აძევენ შესაბამისი ქვეყნიდან გარკვეული პერიოდით და შემდეგ აგზავნიან პოლონეთში დუბლინის დადგენილების საფუძველზე. ქვეყანა, სადაც თავდაპირველად შედიან თავშესაფრის მაძიებლები, პასუხისმგებელია განაცხადის განხილვაზე და ამიტომ მათ აგზავნიან უკან პოლონეთში, სადაც მათ პირველად შეიტანეს განაცხადი თავშესაფარზე. პოლონეთში დაბრუნებულებს ათავსებენ არალეგალი ემიგრანტების დროებითი განთავსების ცენტრებში მანამ, სანამ მათი საქმეები განხილვის პროცესშია. პირებს, რომელთაც არალეგალურად შეაღწიეს პოლონეთში თავშესაფრის მოთხოვნის გარეშე და დაკავებულნი იქნენ პოლონეთის

²⁸ 2007 წლის დეკემბერში შენგენის თავისუფალ სასაზღვრო ზონაში შევიდა ცხრა ახალი წევრი სახელმწიფო, კერძოდ, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და მალტა.

საზღვრებს შიგნით, უფლება აქვთ, მოითხოვონ ლტოლვილის სტატუსი აღნიშნულ ცენტრებში, რომელთაც მართავს პოლონეთის სასაზღვრო დაცვა.

პოლონეთის ხელისუფლებამ როგორც დამოუკიდებლად, ისე შვეიცარიასა და ავსტრიასთან თანამშრომლობით დაიწყო საქართველოს იმ მოქალაქეთა დეპორტაცია, რომელთა განაცხადები თავშესაფარზე უარყოფილი იქნა. დეპორტაცია დაიწყო აგვისტოში საქართველოს ოთხი მოქალაქით, სექტემბერში კი მათი რიცხვი 49-მდე გაიზარდა. ოქტომბერში დეპორტირებული იქნა 19 ადამიანი, ნოემბერში – 36, ხოლო დეკემბერში – 15. ამასთან ერთად, მიგრაციის საერთაშორისო ოფისის (IOM) მიერ ორგანიზებული ნებაყოფლობითი დაბრუნების ფარგლებში 38 ადამიანი დაბრუნდა საქართველოში.²⁹ საქართველოს ზოგიერთი მოქალაქე, რომელსაც უარი ეთქვა თავშესაფარზე და დეპორტირებული იქნა საქართველოში, მძიმე პირობებში აღმოჩნდა. მართალია, პოლონეთის გავლით გზა ევროკავშირამდე შედარებით არაძვირადღირებული ალტერნატივაა, მაგრამ ზოგიერთი ემიგრანტისთვის ეს მაინც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მგზავრობისთვის საჭირო გახდა მათი კუთვნილი ქონების ნაწილობრივ ან სრულად გაყიდვა. პირობები განსაკუთრებით მძიმეა ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქართველოში მყოფ ოჯახებს უნდა გაეგზავნათ ფული თავიანთი ნათესავებისთვის, რომლებიც ელოდებოდნენ თავშესაფარზე განცხადების განხილვას პოლონეთში. მდგომარეობა, რომელიც პოლონეთში წასვლამდე არასტაბილურად ითვლებოდა, ბევრ შემთხვევაში კიდევ უფრო დამძიმდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ემიგრაციის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იეზიდმა-ქურთებმა არა ერთხელ სცადეს პოლონეთში შეღწევა, რაც ასევე მიუთითებს ამ მარშრუტის ხელმისაწვდომობაზე. გამოკითხულები ამტკიცებენ, რომ მათ იცოდნენ იმ სიძნელეების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო ევროკავშირში მოხვედრასთან, მაგრამ ვინაიდან მგზავრობა შედარებით იაფი ჯდებოდა, მათ მაინც გადაწყვიტეს, ეცადათ ბედი.

²⁹ პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა ოფისი.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულშიც და ამჟამადაც მიმდინარეობს უმთავრესად იეზიდ-ქურთი წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია პოლონეთიდან საქართველოში, მათი დიდი რიცხვი კვლავაც ევროკავშირის ქვეყნებში რჩება უკეთესი ცხოვრების ძიებაში. პოლონეთში რეგისტრირებულ ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა თითქმის 75% გაუჩინარდა ლტოლვილთა ბანაკებიდან და კერძო საცხოვრებლებიდან მათი განაცხადების განხილვის პერიოდში. ბევრმა სცადა ევროკავშირის სხვა ქვეყანაში გადასვლა, რასაც ადასტურებს განაცხადთა დიდი რაოდენობა, რომლებიც პოლონეთის ხელისუფლებამ მიიღო დუბლინის დადგენილების პროცედურული მოთხოვნების შესაბამისად. ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან პოლონეთის ხელისუფლებას გადაეგზავნა 1,500 მოთხოვნა, რომ უკან წაეყვანათ თავშესაფრის მაძიებლები, ხოლო დუბლინის დადგენილების ფარგლებში დღემდე 500 თავშესაფრის მაძიებელი დაბრუნდა ქვეყანაში.³⁰ გარდა ამისა, თავშესაფრის მიღება არ არის ემიგრანტებისთვის ქვეყანაში დარჩენის ერთადერთი გზა. ერთ-ერთი ალტერნატივაა დაქორწინება ისეთ პირზე, ვისაც ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეობა აქვს, თუმცა ეს იშვიათად არის გამოსავალი, ვინაიდან ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც თანახმა იქნება ქვეყანაში ლეგალურად დარჩენის უფლების მოპოვების მიზეზით დაქორწინებაზე. კიდევ ერთი გაცილებით უფრო გავრცელებული ალტერნატივაა არალეგალურად დარჩენა სასურველ ქვეყანაში. უცნობია იმ ქართველთა რაოდენობა, რომელთაც უკანონოდ შეაღწიეს ევროკავშირში და, შესაბამისად, არ არიან რეგისტრირებულნი იქ, ხოლო თითქმის 2,000 ქართველი ემიგრანტი, რომელთაც მოითხოვეს თავშესაფარი პოლონეთში გასული თვეების განმავლობაში, იურიდიული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ამჟამად დაკარგულად ითვლება.

პოლონეთის ხელისუფლებისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებისთვის პრობლემების შექმნის გარდა, ძირითადად იეზიდ-ქურთებისგან შემდგარი ემიგრანტთა ნაკადი საქართველოდან უკანასკნელ პერიოდში უკიდურესად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საქართველოში დარჩენილ მოსახლეობაზე. იეზიდ-ქურთული მოსახლეობა, რომელიც

³⁰ პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა ოფისი.

უკვე განიცდის ასიმილაციის ძლიერ პროცესებს და ენისა და კულტურის დაკარგვას, მნიშვნელოვნად შემცირდა რიცხოვნობრივად მისი წევრების ალბათ ერთ მესამედზე მეტის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობების მიერ ქვეყნის დატოვების შედეგად. მაშინ, როდესაც არსებობს შანსი, რომ ემიგრანტთა გარკვეული ნაწილი საბოლოოდ დაბრუნდება საქართველოში, როგორც ჩანს, ბევრი იეზიდო-ქურთი დარჩება საზღვარგარეთ, სადაც მათ, როგორც უკანონო ემიგრანტებს ევროპის ქვეყნებში, მოუწევთ ცხოვრების არასტაბილურ პირობებთან გამკლავება. არსებობს ყველა საფუძველი იმისა, რომ ქართველმა და საერთაშორისო დაინტერესებულმა მხარეებმა იფიქრონ იმაზე, თუ რა ზომების მიღება შეიძლება უკეთესი პირობების შესაქმნელად საქართველოში მცხოვრები იეზიდო-ქურთი მოსახლეობისთვის, რომელიც საგრძნობლად მცირდება.

დანართი. „პირები, რომელთაც შეიტანეს განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე ან დასახელებულნი იქნენ განაცხადში ოჯახის წევრად საანგარიშო პერიოდის მანძილზე“ (2009)³¹

	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტ	ოქტ	ნოემ	სულ	
სულ										
სულ	56	58	849	1,038	1,371	317	205	143	4,037	100,0%
0-13	17	14	227	212	259	29	35	20	813	20,1%
14-17	2	2	22	26	40	7	4	2	105	2,6%
18-34	25	34	450	604	755	195	115	79	2,257	55,9%
35-64	9	8	144	195	311	85	51	42	845	20,9%
65 და ზემოთ	3	0	6	1	6	1	0	0	17	0,4%
მამაკაცები										
სულ	26	58	511	681	871	218	137	93	2,595	64,3%
0-13	9	14	121	126	137	13	20	12	452	11,2%
14-17	1	2	13	14	28	2	4	0	64	1,6%
18-34	12	34	289	434	533	159	90	62	1,613	40,0%
35-64	4	8	86	106	171	44	23	19	461	11,4%
65 და ზემოთ	0	0	2	1	2	0	0	0	5	0,1%
ქალები										
სულ	30	0	338	357	500	99	68	50	1,442	35,7%
0-13	8	0	106	86	122	16	15	8	361	8,9%
14-17	1	0	9	12	12	5	0	2	41	1,0%
18-34	13	0	161	170	222	36	25	17	644	16,0%
35-64	5	0	58	89	140	41	28	23	384	9,5%
65 და ზემოთ	3	0	4	0	4	1	0	0	12	0,3%

³¹ პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა ოფისი www.udsc.gov.pl/Refugee.status.278.html